GMS
Georgian Medical Systems
NEWS
www.gmbg.ge
უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენი საქმეა
ოქტომბერი > ნოემბერი №7 > 2011

კომპანია GMS „ინოვაცია და ხარისხი 2010“

2011 წლის 26 ივლისს თბილისის სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტში” პუბლიცისტური ენციკლოპედია “სახე(ლ)ების” მეცხრე გამოცემის პრეზენტაცია და საუკუნისა და 2010 წლის სახეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. წარმოდგენილ 25 ნომინაციაში გამარჯვებულები ენციკლოპედიის ისტორიაში შევიდნენ, დიპლომებით, “სახე(ლ)ების” მოოქროვილი ლოგოთი და ნომინაციის აღმნიშვნელი წარწერით დამშვენებული პრიზებით დაჯილდოვდნენ და გამომცემლობის პარტნიორი კომპანიებისაგან საჩუქრებიც მიიღეს.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ტირაჟის მქონე ავტორიტეტული გამომცემლობების მიერ წლის წარმატებული სახეებისა და სახელების დასახელება-გამოქვეყნება ჩვეულებრივი მოვლენა და მიღებული ფორმაა, საქართველოში კი ამ ტრადიციას საფუძველი საგამომცემლო სახლმა “სახე(ლ)ებმა” ჩაუყარა. ჟურნალ “სახე(ლ)ების” ფურცლებზე მოხვედრა ნებისმიერი ადამიანისა თუ კომპანიისათვის უკვე პრესტიჟის საკითხია, რადგან აქ ადგილი მხოლოდ საუკეთესოებს ეთმობა.

ქართულ-ინგლისურენოვანი ჟურნალი-ენციკლოპედია წელიწადში ერთხელ გამოდის და გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენებს აჯამებს, რომელიც სხვადასხვა მედიის ობიექტური ექსპერტ-ჟურნალისტების მიერ თემატურადაა დაყოფილი. ამ მონაცემების საფუძველზე საგამომცემლო სახლი “სახე(ლ)ების” რედკოლეგია საუკუნისა და წლის სახეებსა და სახელებს ასახელებს, მათ, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი არამარტო საკუთარი მოღვაწეობის სფეროში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

ნომინაციაში “ინოვაცია და ხარისხი” 2010 წლის საუკეთესო კომპანიად GMS დასახელდა. რატომ GMS? ამ კითხვაზე პასუხს თავად კომპანიის მოღვაწეობა გვაძლევს: GMS ქართულ სამედიცინო ბაზარზე 2004 წელს შემოვიდა და უკვე მსოფლიოში ცნობილ სამედიცინო ტექნოლოგიების მწარმოებელ კომპანიებს წარმოადგენს საქართველოში. Johnson&Johnson Medical, Implantcast, Diagon, General Electric, Olympus-ისა და სხვათა პროდუქცია ქართულ კლინიკებში სწორედ მისი მეშვეობით დაინერგა, რამაც რიგი მიმართულებების განვითარება განაპირობა, რადგან ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების გარეშე დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესება უბრალოდ წარმოუდგენელია. კომპანია GMS-ის დამსახურებაა ქუთაისის “აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში” ამიერკავკასიაში პირველი არითმიების სამკურნალო სამგანზომილებიანი კარტირების ნავიგაციური სისტემა CARTO XP-შის დაინსტალირება, რითაც საქართველოს არითმოლოგიაში ახალი ეპოქა დაიწყო; ონკოპროთეზირებების ჩატარება გერმანული ფირმა Implantcast-ის ანტიალერგიული საფარით მოპირკეთებული ონკოლოგიური და რევიზიული მოდულარული პროთეზებით, რამაც ბევრი ადამიანი იხსნა სხვადასხვა კიდურის ამპუტაციისაგან; კომპანია Diagon-ის მსოფლიოში ცნობილი, პრაქტიკულად ყველა ტიპისა და დატვირთვის ჰემატოლოგიური ანალიზატორებისა და კოაგოლომეტრების გამოყენება ჩვენს ლაბორატორიებში; GMS აქტიურად მონაწილეობს მრავალპროფილური საავადმყოფოების აღჭურვაში, სადაც ერთ-ერთი პოზიცია ენდოსკოპიურ და ლაპარასკოპიულ პროდუქციას ეთმობა, სწორედ ამიტომ დაინტერესდა ის Olympus Corporation-ით, რომელიც მოწინავე ტექნოლოგიების, უმაღლესი ხარისხისა და საოცრად მოხერხებული სამედიცინო ოპტიკის მწარმოებელი მსოფლიო დონის პრესტიჟული კომპანიაა. GMS-ს უკვე შემუშავებული აქვს რიგი პროექტებისა, რომელშიც Olympus-ის პროდუქციით იმონაწილეევებს. ჩვენს ქვეყანაში ახალი საავადმყოფოების დაარსებისა და განვითარების პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მწარმოებელ კომპანია General Electric-სთან თანამშრომლობა და მისი დიდი ხნის გამოცდილების გაზიარება ამ სფეროში. ის მომხმარებელს მრავალასპექტიან პაკეტს სთავაზობს – ბიზნეს გეგმითა და საავადმყოფოს არქიტექტურული დიზაინის შემუშავებით დაწყებული, აპარატურის მიწოდებითა და საავადმყოფოს მენეჯმენტით დამთავრებული.

კომპანია GMS არ იშურებს ძალას, რათა ქართველ მომხმარებელს ჩვენს ქვეყანაშივე მისცეს უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებით სარგებლობის საშუალება, რაც ყველა ჩვენგანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია.

GMS-ის გარდა სხვადასხვა ნომინაციაში წარდგენილი იყო: კომპანია “ბლოკ ჯორჯია”, როგორც “ლიდერი საქართველოს ჯანდაცვის განვითარების სფეროში”, რომლის საქმიანობა უმაღლესი დონის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი, კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული და ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი მომსახურების ჯანდაცვის ობიექტების პროექტირება-დაგეგმარებას, მშენებლობა-რეკონსტრუქციას, საინჟინრო სამუშაოებს, აღჭურვასა და სუფთა ზონების მოწყობას მოიცავს. კომპანია, საკუთარი საავადმყოფოების გარდა, ფარმაცევტულ საწარმოებსაც აშენებს და სხვადასხვაგვარი პროექტების დამუშავებით აქტიურად თანამშრომლობს თითქმის ყველა ქართულ სადაზღვევო კომპანიასთან; “ქართული ჰოსპიტალი” - “ახალი პროდუქტი ქართული ჯანდაცვის რეალობაში”, რომელმაც კერძო საავადმყოფოების ქსელის ეფექტური მართვისათვის ოპერირების სრულიად ახალი სისტემა და განვითარების კონცეფცია შექმნა, ადგილობრივი რესურსით დაკომპლექტებულ საკუთარ კლინიკებში, კადრების გადამზადებისათვის, საერთაშორისო სტანდარტის ტესტირების სისტემა შეიმუშავა, რაც საქართველოში ამ დრომდე არ არსებობდა. “ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება” - ქუთაისის “ეროვნული ცენტრის” პრიორიტეტია, რომელიც უკვე 6 წელია კლინიკაში დანერგილი უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებითა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ქვეყნის წამყვანი კლინიკის სტატუსს ინარჩუნებს. ცენტრის ლიდერობაზე კლინიკის კატასტროფის ცენტრის მუშაობის სტატისტიკური მაჩვენებელიც მეტყველებს - 2010 წელს მან დროული, კვალიფიციური, ხარისხიანი დახმარება აღმოუჩინა და სიცოცხლე შეუნარჩუნა 4500 პაციენტს. “ეროვნული ცენტრი” სისტემატურად მონაწილეობს GMS-ის, “ბლოკ ჯორჯიას”, “ქართული ჰოსპიტალის” სოციალურ პროექტებში - უანგაროდ უტარებს გამოკვლევებს, ოპერაციებსა და კონსულტაციებს ლტოლვილებსა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, ეხმარება მედიკამენტებით და სხვა.

წელს ჟურნალი-ენციკლოპედია “სახე(ლ)ები” ორ ტომად გამოიცა. პირველ ნაწილში (448 გვერდი) ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთწლიანი ქრონიკაა ასახული ადამიანთა ისტორიებით, პროფილებითა და თემატური ფოტოპროექტებით. მისი დამატება “სახელები ამერიკაში” ქართველმა და ამერიკელმა ჟურნალისტებმა ერთობლივად მოამზადეს და ქართულ-ამერიკული ურთიერთობის რეტროსპექტივაა ბოლო 20 წლის მანძილზე: ორმხრივი მნიშვნელოვანი ვიზიტები, ქართულ-ამერიკული ოჯახები, ისტორიული მასალები ამერიკაში სხვადასხვა დროს ემიგრირებული წარმატებული ქართველების შესახებ. მეორე ტომში “ბიზნეს-სახეები” (552 გვერდი) კი, სპეციალური დამატებით “ბიზნეს-სახეები დეტალებში”, ქრონოლოგიურადაა ასახული ქართული ბიზნეს-ეკონომიკის ერთწლიანი დინამიკა.

სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტში” შეკრებილმა საზოგადოებამ ტრადიციულ საქველმოქმედო აუქციონშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც გასაყიდად ჩვენი დროების ცნობილი ადამიანების კუთვნილი ნივთები იყო გამოტანილი. აუქციონიდან შემოსული თანხა (23 000 ლარი) ას წელს გადაბიჯებულ 75 უხუცესსა და ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებულ პალიატიური მზრუნველობის ცენტრს მოხმარდება.

Johnson & Johnson
DIAGON®
implantcast
NIPRO
Broche®

GMS
Georgian Medical Systems
NEWS
www.gmbg.ge
ოქტომბერი > ნოემბერი №7 > 2011

„მეტი სისხლი – მეტი სიცოცხლე“

ჯ ღეს თითქმის არ არსებობს მედიცინის დარგი, რომელიც სისხლისა და მისი კომპონენტების გადასხმას არ საჭიროებს. ეს განსაკუთრებით ეხება ქირურგიას, კარდიოქირურგიას, ტრავმატოლოგიას. სისხლის გადასხმა აუცილებელია სერიოზული დამწვრობისა და რთული მშობიარობის დროს. სისხლი სიცოცხლის შენარჩუნებაში ეხმარება ჰემოფილიით, ანემიით დაავადებულ ადამიანებს. ჯერ-ჯერობით მსოფლიო მეცნიერებამ ვერ მოახერხა სისხლისა და მისი კომპონენტების ხელოვნურად სინთეზირება. მას ვერც აფთიაქში შეიძენთ, ამიტომ მხოლოდ დონორებინ არიან ერთადერთი იმედი იმ ადამიანთათვის, ვისაც სისხლის გადასხმა ესაჭიროება.

„დონორი” ლათინური სიტყვაა (DONARE) და „ჩუქებას” ნიშნავს. დონორი ხომ საკუთარი სხეულის ნაწილის, ცოცხალი ქსოვილის – სისხლის გაცემით სიცოცხლეს ჩუქნის ადამიანებს. ბიბლიური გამონათქვამი: „არ გაღარიბდება დასახმარებლად განწდილი ხელი” უშუალო კავშირშია უანგარო დონორთან. უანგარო დონორობა მეტად პრიორიტეტულია. სწორედ უანგარო დონორობის წილი განსაზღვრავს გარკვეულწილად ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და მორალურ სტატუსს.

ერთი ლიტრი სისხლის დაკარგვა ზრდასრული ადამიანის სიცოცხლისათვის აბსოლუტურად უსაფრთხოა, დონორი კი მხოლოდ 450 მლ. გრამს გასცემს. სისხლის ამ რაოდენობას ორგანიზმი სწრაფად აღიდგენს. ამასთანავე მძლავრი სტიმული ეძლევა ორგანიზმის იმუნურ და ენდოკრინულ სისტემას, ამიტომ დონორები თითქმის არ ავადდებიან გრიპით, ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით.

მსოფლიოში ყოველწამიერად იქმნება სისხლის გადასხმის საჭიროება სიცოცხლის გადასარჩენად. თუმცა, სისხლის არასაკმარისი მარაგის გამო, ყოველთვის ვერ ხერხდება ადამიანთა დახმარება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს. დონორობის მაღალი მაჩვენებლის ზოგიერთ ქვეყანასაც კი უჭირს სისხლის მარაგის საჭირო რაოდენობის შენარჩუნება. იმისათვის რომ ქვეყანაში სისხლის მარაგის პრობლემა არ შეიქმნას, საჭიროა ყოველი ათასი ადამიანიდან 40-60 ადამიანმა გაიღოს სისხლი. ასეთი მაჩვენებელი მიღწეულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში. მაგ. დანიაში 1000 ადამიანზე 100 დონორია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება უანგარო დონორობას იაპონიაშიც და ის კარგ ტონად ითვლება. 2011 წელს მსოფლიოს მხოლოდ 62 ქვეყანაა უანგარო დონორთა სისხლით უზრუნველყოფილი. 2009 წლის მელბურნის დეკლარაცია მოუწოდებს ყველას 2020 წლისათვის სისხლზე მოთხოვნის დაკმაყოფილება 100%-ით უანგარო დონორთა სისხლით უზრუნველყონ. ამისათვის კი სისხლის გადასხმის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ უფრო აქტიური პროპაგანდაა საჭირო. სამაგალითოდ უნდა ვაქციოთ ის ადამიანები, ვინც რეგულარულად აბარებს სისხლს, რადგან ისინი ჯანმრთელი ცხოვრების წესს ეწევიან და სისტემატურად იტარებენ გამოკვლევებს.

სისხლის დონორთა მსოფლიო დღის 14 ივნისს საზეიმოდ და საყოველთაოდ აღნიშვნის გადაწყვეტილება 2004 წელს მიიღეს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის 58-ე სესიაზე და მიზნად ისახავს სისხლის საჭიროების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, უანგარო დონორობის პროპაგანდასა და მადლიერების გამოხატვას იმ ადამიანების მიმართ, ვინც უანგაროდ გასცემს სისხლს მისთვის უცნობ ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად თუ გასაუმჯობესებლად.

საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობს გაეროს 192 წევრი-ქვეყნის მოსახლეობა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 181 ნაციონალური საზოგადოება, ნებაყოფლობით დონორთა 50 ორგანიზაცია და უამრავი სპეციალისტი სისხლის გადასხმის სფეროდან. სისხლის დონორთა მსოფლიო დღის აღნიშვნას კოორდინირებას უწევს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაცია, სისხლის გადასხმის საერთაშორისო საზოგადოება და დონორთა საერთაშორისო ფედერაცია.

მხარს უჭერენ სახელმწიფოთა მეთაურები, სამეფო ოჯახები და გამოჩენილი ადამიანები. აღნიშვნის დიაპაზონი ყოველ წელს სულ უფრო ფართოვდება. საქართველოს პირველი ლედი,ცქალბატონი სანდრა რულოვსი მისაბაძ მაგალითს აძლევს ჩვენს მოსახლეობას, ის ყოველთვის პირველია უანგარო დონორთა რიგში, წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ აბარებს სისხლს და ყოველ წლიურად აქტიურად მხარს უჭერს ამ აქციას.

14 ივნისი შემთხვევითი არ არის შერჩეული - ამ დღეს დაიბადა ავსტრიელი ექიმი-იმუნოლოგი კარლ ლანდშტეინერი, რომელიც ადამიანის სისხლის ჯგუფების აღმოჩენისათვის 1930 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

ყოველ დღესასწაულზე ახალ დევიზსა და გლობალური ღონისძიებების ორგანიზატორ ქვეყანას ირჩევენ. ჩგასული წლის დევიზი იყო *„ახალი სისხლი მსოფლიოსათვის”*, რომელიც ახალგაზრდა დონორთა მოზიდვას ისახავდა მიზნად. წლევანდელი წლის კი – *„მეტი სისხლი – მეტი სიცოცხლე”*. ხოლო საერთაშორისო პროპაგანდის კამპანიის ცენტრად ბუენოს-აირესი იქცა. აქ ძეგლები, პოპულარული ღირსშესანიშნაობები და შენობები წითელი ფერის ქსოვილებით დაფარეს ან წითელი ფერით გაანათეს, კულტურული და მუსიკალური ღონისძიებების სცენოგრაფიაში „წითელი ფერის” თემა ჩართეს. დამზადდა უამრავი წითელი ბანერი და სისხლის წვეთის ფორმის ტრანსპარანტი.

სისხლის დონორთა მსოფლიო დღე ყოველ წელს აღინიშნება ჩვენს ქვეყანაშიც. „საქართველო უნდა შეუერთდეს იმ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც უანგარო დონორობა მოქალაქეობრივი ვალია” — აღნიშნა წლევანდელ ღონისძიებაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ.

ამ დღეს ყოველთვის საზეიმო ვითარება სუფევს თბილისის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტშიც. „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არავინ არის დაცული უბედური შემთხვევისა და რაიმე დაავადებისაგან, მაგრამ ჩვენთან ჯერ კიდევ სისხლის გადასხმის საჭიროება მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც საქმე მათ ახლობელს ეხება, – აღნიშნა საწარმოო ტრანსფუზიოლოგიისა და გრავიტაციული ქირურგიის განყოფილების გამგემ, მედიცინის დოქტორმა მაია ბეროძემ. სისხლზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება, რადგან საქართველოში მედიცინა უკვე სწრაფი ტემპით ვითარდება, მაგალითად, თუ 10-15 წლის წინ მიუღწეველი იყო კარდიოქირურგიული ოპერაციები, დღეს ის ქართული მედიცინისათვის უკვე ჩვეულებრივ ქირურგიულ ჩარევად ითვლება და საკმაოდ ბევრი პაციენტი სარგებლობს ამ სერვისით. ამ დროს კი აუცილებელია სისხლისა და მისი კომპონენტების გადასხმა. ეს ეხება მედიცინის სხვა დარგებსაც. თუ საქართველოში წელიწადში სამჯერ 15-20 ათასი ადმიანი ჩააბარებს სიხლს, სისხლის ბანკს პრობლემა არ ექნება და შესაბამისად არც კლინიკებს. მოგეხსენებათ, რომ სისხლისაგან დამზადებულ სხვადასხვა კომპონენტს ვარგისიანობის თავისი ვადა

Johnson & Johnson
DIAGON®
implantcast
NIPRO
Broche®

აქვს: თრომბოციტულ მასალას - 5 დღე, ერითროციტულს–35 დღე, პლაზმა კი იყინება და ერთი წელი ინახება.

წინა წლებთან შედარებით წელს მეტი გამოცოცხლება იგრძნობოდა. თუმცა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტისათვის ყოველი დღე დონორთა დღეა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მივიღოთ ადამიანები, ვინც სისხლის ჩაბარების სურვილს გამოთქვამს, თუმცა საქართველოს კანონმდებლობით ეს ყველას არ შეუძლია: დონორის ასაკი უნდა იყოს 18-60 წელი, წონა - 50კგ-ზე მეტი, ჰემოგლობინი და წნევა - ნორმაში და არ უნდა იყოს დაავადებული გადამდები ინფექციებით (აივ, ჰეპატიტები, სიფილისი, მალარია). დონორი ვალდებულია გულწრფელად გასცეს პასუხი იმ კითხვებს, რომელიც დამტკიცებულია ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე. დონაციებს შორის აუცილებელი ინტერვალი 60 დღეა.

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი დღეს JOHNSON & JOHNSON-ის Ⅲ-Ⅳ თაობის აპარატურითაა აღჭურვილი, სადაც სისხლის კვლევა ფაქტობრივად 100%-ის სიზუსტით ხდება. ასეთი აპარატურა სისხლის ბანკისათვის ძალიან დიდი ფუფუნებაა, რაც ჩვენი ინვესტორის „პირველი ქართული ჰოსპიტალური ქსელის" დამსახურებაა, რომლის ერთპიროვნული აზრი და ყველაზე დიდი მოტივაცია ჩვენი ინსტიტუტისათვის სტატუსის, სისხლის ბანკის შენარჩუნება და აქედან მაქსიმალურად უსაფრთხო სისხლის გასვლაა.

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი

გაიღე სისხლი უანგაროდ და გადაარჩინე კიდევ ერთი სიცოცხლე!

მინდა ყველა ჯანმრთელ ადამიანს მოვუწოდო, გააანალიზონ, რომ მათ ჩაბარებულ სისხლს სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია".

დონორი არც პროფესიაა, არც სამსახური და არც ხელობა, ის გაცილებით მეტია. ამ ადმიანებით უნდა ვამაყობდეთ ყველა, რადგან ისინი ყველაზე ძვირფასს - სიცოცხლეს გვჩუქნიან!

კომპანია GMS თავადაც მონაწილეობს და აქტიურად ეხმარება ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტს უანგარო დონორობის აქციის ორგანიზებაში.



Johnson & Johnson DIAGON® implantcast NIPRO Broche®

GMS Georgian Medical Systems NEWS

www.gmbg.ge

ოქტომბერი > ნოემბერი №7 > 2011

ინტეგრაცია ევროპულ ჯანდაცვასთან

European Health Management Association

2011 წლის 22-24 ივნისს პორტუგალიის ულამაზეს ქალაქ პორტოში ჩატარდა EHMA-ს (European Healthcare Management Association) - ევროპული ჯანდაცვის მენეჯმენტის ასოციაციის მორიგი ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია "ინტეგრაცია ჯანდაცვაში". მასში პირველად მონაწილეობდა საქართველოში ჯანდაცვის მენეჯმენტის ერთადერთი კომპანია "ქართული ჰოსპიტალი", რომელიც 2010 წელს გახდა EHMA-ს წევრი.

EHMA ოცდაათი წლის წინ დაარსდა ირლანდიაში. ამჟამად მისი შტაბ-ბინა ბრიუსელში მდებარეობს. ასოციაცია 160 ინსტიტუციონალურ წევრს აერთიანებს 30 ქვეყნიდან. §პრეზიდენტს ორი წლის ვადით ირჩევს ათი წევრისაგან შემდგარი საბჭო და ის შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ თანამდებობისთვის საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს: ფლობს უცხო ენებს, აქვს ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობის სათანადო გამოცდილება, წარადგენს საკუთარ პროგრამასა და ხედვას ჯანდაცვის საკითხებში.

ორ წელიწადში ერთხელ ტარდება კლინიკათა დირექტორების კონგრესიც. შარშან ის ციურიხში გაიმართა, ხოლო 2012 წელს მას ათენი უმასპინძლებს.

EHMA-ს ძირითადი პრინციპი ყველა ქვეყანაში მაღალი სტანდარტის სამედიცინო მომსახურების დანერგვაა, ამიტომ აქტიურად ადევნებს თვალყურს ევროპის ჯანდაცვაში მიმდინარე რეფორმების ეფექტურობას. ასოციაციის მისია კი - ჯანდაცვის მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიერებაში ხელშეწყობაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროპის წევრ-ქვეყნებში ყოველწლიური კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა, სადაც ჯანდაცვის მენეჯმენტის სფეროს წარმომადგენლები მათთვის აუცილებელ ინფორმაციას იღებენ - როგორ გაუმკლავდნენ თანამედროვე ჯანდაცვაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, როგორ გამოიყენონ ახალი ინსტრუმენტები ჰოსპიტალური სექტორის მართვის გასაუმჯობესებლად. EHMA თავის წევრ-ქვეყნებში სისტემატურად ატარებს გამოკითხვებსაც. ასეთი გამოკითხვა კომპანია "ქართულ ჰოსპიტალსაც" ჩაუტარდა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 30 კლინიკას ფლობს და მართავს, რაც საკმაოდ დიდი მასშტაბია. დაინტერესდნენ ჩვენს კლინიკებსა და პოლიკლინიკებში გადახდის ფორმით, მათი ურთიერთობით სადაზღვევო კომპანიებთან, მედპერსონალის შრომითი ანაზღაურებითა და სხვა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შეიმუშავებენ შესაბმის რეკომენდაციებს და "ქართულ ჰოსპიტალს" გამოუგზავნიან. ჳკომპანია უკვე სარგებლობს EHMA-ს ყოველკვირეული ელექტრონული გაზეთით, რომლის საშუალებითაც ის ასოციაციაში, ევროპისა და მსოფლიო ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე სიახლეებს ეცნობა.

EHMA-ს ზრუნვის არეალი ზოგადად ოთხ ნაწილად იყოფა: პოლიტიკა (ჯანდაცვის), კვლევები, მენეჯმენტის გაუმჯობესება და მენეჯერთა განათლება. ასოციაცია თანმიმდევრულად ახორციელებს თავის სლოგანს - "ხარისხის ამაღლება" და მუდმივად ზრუნავს საკუთარი წარმომადგენლების ცოდნის გაღრმავებაზე, რაც დადებითად აისახება ამ ქვეყნებში მენეჯმენტის ხარისხზე.

დღევანდელი ევროპის ჯანდაცვას სამ ძირითად პრობლემასთან უხდება გამკლავება: ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ხარისხიანი ჯანდაცვის ღირებულების ზრდა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ხარისხიან ჯანდაცვაზე. წლევანდელი საერთაშორისო კონფერენცია სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას - ინტეგრაციას მიეძღვნა. მომხსენებლებმა (EHMA-ს დირექტორი ჯენი ბრეჰნერი, Global health Practice KPMG-ს პარტნიორი და თავჯდომარე მარკ ბრიტნელი, Queen Margaret University-ს პროფესორი ჯეიმს ბუჰანი, უნგრეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი დოქტორი მიკლოშ ჩოშკა, პორტოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ხელმძღვანელი პროფესორი რუი ნუნესი და სხვა.) კონფერენციის მონაწილეებს სხვადასხვა ევროპულ კლინიკებში ჩატარებული კვლევებისა და განხორციელებული ახალი პროექტების შედეგები გააცნეს. გააჟღერეს ის ახალი მეთოდები და ჯანდაცვის პოლიტიკა, რომელსაც მოსახლეობის უკეთესი მომსახურების მიზნით ევროპის ქვეყნები იყენებენ. აღინიშნა, რომ პაციენტზე ორიენტირებული დღევანდელი ევროპული ჯანდაცვა ახალ მიდგომას მოითხოვს. ინტეგრაციის გზით კი კლინიკებს საშუალება ეძლევა შეამცირონ ბიუროკრატიული ბარიერები, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი, ჰოსპიტალის პერსონალისა და ოჯახის ექიმის სამუშაო პირობები.

ჳკონფერენციის მომდევნო დღე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ლექციებს, ინტეგრაციასა და მთელ ევროპაში ერთნაირი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებულ სემინარებს დაეთმო. გამოითქვა უამრავი მოსაზრება, თუმცა ერთი საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა - თუკი ყველა კლინიკაში ერთნაირი სტანდარტი იქნება, როგორ შევინარჩუნოთ კონკურენცია. კომპანია "ქართული ჰოსპიტალის" წარმომადგენლებმა EHMA-ს იმ პრობლემების გადაჭრაში სთხოვეს რეკომენდაციების გაწევა და დახმარება, რომელიც არამარტო ჩვენ, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას აწუხებს და ძალიან მნიშვნელოვანია - ახალ სტანდარტებზე გადასასვლელად ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ეფექტური და უმტკივნეულო გატარება.

მიღებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ევროპელმა კოლეგებმა ჩვენს წარმომადგენლებს გაუზიარეს, მაქსიმალურად იქნება იმპლიმინტირებული იმ ჰოსპიტალური ქსელის მართვაში, რომელსაც "ქართული ჰოსპიტალი" ახორციელებს.

აკადემიური ნაწილის გარდა, კონფერენციის ფარგლებში, გათვალისწინებული იყო მრავალფეროვანი და საინტერესო კულტურული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთათვის უძველესი საპორტო ქალაქის პორტოს ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, "პორტვეინის" წარმოების ისტორიისა და სპეციფიკის გაცნობას "პორტვეინის" ქარხანაში, მსოფლიოში აღიარებული პორტუგალიური ღვინის დაგემოვნებას სარდაფ "Teylor's"-ში და სხვა.

კომპანია "ქართული ჰოსპიტალის" ძალისხმევით შესაძლოა უახლოეს მომავალში EHMA-ს ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციას საქართველომ და "ქართულმა ჰოსპიტალმაც" უმასპინძლოს.

Georgian Hospital

პირველი ქართული ჰოსპიტალური ქსელი

ჩვენი მიზანია თანამედროვე პაციენტზე ორიენტირებული და ეფექტური საავადმყოფოთა ქსელის შექმნა და მისი მართვა;

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და მისი კონტროლი;

სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;

სამედიცინო მომსახურების დროს გამოვლინილი პრობლემატიკის შესწავლა, ანალიზი და გადაჭრის გზების ძიება.

www.georgianhospital.ge

Johnson & Johnson · DIAGON® · GE · implantcast · NIPRO · Broche®